

ნიანგი


თბილისი.
გაბოცემლობა
„კომუნისტი“.



ამერიკულ ბარ-მასკარადზე

ნახ. ა. კანდელაკისა

- საწყალ ტომასს დარბაზის შემოსასვლელთან დაუხვდნენ და მაგრად მიბეგვეს.
- ჩხუბი ატეხა?
- არა, შავი ნილაბი ეკეთა და ჴანგი ეგონათ!



ნაბიჯს ვითომ თვით დგამენ, ხელიც ვითომ მათია,
მაგრამ ავტომატსა ჰგავს მათი დიპლომატია,
მათ ზურგს უკან სულ სხვა დგას, მისი ზორბა თათია
მათ ხელს რომ ამოძრავებს, ვით ნანატრე ხატია.

გაჭიანურებული ოცნება

ლონდონში შემავალ გზატკეცილზე მსუბუქი მანქანა მისრია-
ლებს. ორი რიგითი პოლიციელი დამუნჯებული შეჭურებს დოლა-
რებით სავსე პარკს.

ერთ-ერთმა სიჩუმე დაარღვია:

- ზოლტან!
- რა იყო, ტომ!
- რას იტყობდი, ეს დოლარები რომ შენი იყოს?
- ეშმაკსაც წაუღია!
- რატომ, სულელო, ჩვენში ხომ ფულია ყველაფერი?
- მერე? ეს დოლარები რომ ჩემი იყოს, ხომ ნასესხები იქ-
ნება!
- მერე?
- მერე და საკუთარ თავს მე ასე ადვილად არ გავყიდი!
- არა, ესთქვათ, ნასესხები არ იყოს, წარმოიდგინე, რომ შე-
ნია საკუთარი!
- უჰ... ბედნიერი ვიქნებოდი!
- რას იზამდი?
- რას ვიზამდი? მანქანას ვიყიდდი, შოფრად მე თითონ დაფ-
ჯდებოდი და ფულს გავაკეთებდი!
- შენც ინატრე რა, მანქანა რა საქმეა!
- ტრამვაის შევიძინდი, ვატმანად თითონ ვიმუშავებდი, შე-
მოსაყლიანია!
- ოცნების შროც არ გქონია.
- მაღაზიას გავადებდი, დახლში ჩავდებოდი და გავმდიდრ-
დებოდი!
- სულელო, ამდენი ფულის პატრონს, მაღაზია რა ოხრად
გინდოდა, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე?
- ვითომ შენ რას იზამდი?
- მე არაფერს არ გავაკეთებდი, უმუშევრად ვივლიდი.
- მერე? ეგ, ვითომ უკეთესი საქმეა?


- რატომაც არა, ჯერ ერთი, დასვენებულა ვიქნებოდი, მეო-
რეც ის, რომ ფულიან უსაქმურს უმუშევრებში გავლენა მექნებოდა.
- გავლენა? გავლენა რას გიზამდა, გასმევდა თუ გაჭმევდა?
- სულელო, უმუშევართა ლიდერი გავხდებოდი, იცი რა სარ-
ფიანი საქმეა?
- უმუშევართა ლიდერობა?!
- რასაკვირველია. ესთქვათ, უმუშევრები გაიფიცნენ, იმათში
რომ ავტორიტეტი გექნება, ფულს გააკეთებ!
- რანაირად?
- გაფიცულებს დაარწმუნებ, რომ მათი მოთხოვნა უსაფუძ-
ვლოა, გაფიცვას შეწყვეტენ და გიყვარდეს სტერლინგები მექარ-
ხნისაგან.
- მერე? უმუშევრები მოგიტომენენ?
- ყვეეჩო, ვინ ჰკითხავს უმუშევრებს, ჩვენში ხომ ფულია ყვე-
ლაფერი. მექარხნე და მისი სტერლინგები დამეხმარებოდნენ, მათი
საშუალებით პროფკავშირის მდივანი გავხდებოდი!
- მერე? ყრია რამე პროფკავშირის მდივანობაში?
- ყველაფერზე სარფიანი საქმეა. რამდენ გაფიცვას ჩაფუშავ,
იმდენი დახლს გაამდიდრებ!
- მერე?
- მერე რა, ჩვენში ხომ ფულია ყველაფერი, იმ ფულით ხმებს
შევიძინდი და პარლამენტის წევრი გავხდებოდი!
- მერე? ქარხნებს ააშენებდი?
- ქარხნების აშენება რად მინდოდა, აქციებს შევიძინდი და
ყველგან მედგმებოდა ფეხი.
- მერე? მერე რაღას იზამდი?
- რას ვიზამდი, ასეთ მდიდარ მოღვაწეს მინისტრად დამნი-
შნავდნენ და მერე მთელი ქვეყნის მოტყუება შემეძლებოდა.
- ზოლტანი ჩაფიქრდება და მკირეოლენი ხნის შემდეგ ეუბნება:
- სულელო, ეგ რა ფიქრებმა გაგიელვა, ბრიტანეთს ორი
ერნსტ ბევენი ხომ არ ეყოლებოდა!

საბერძნეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთა გამომკვლევმა კომისიამ გენერალურ ასამბლეაზე წარადგინა ყალბი ჩვენებები, რომლებიც ბერძენ საეკლარეობის მიერ არის მიცემული.

განხილვებიდან

რა აკეთეს,
რას შერებოდნენ?

ერთ მისტერ-ჯონსს, ანკარაში ყარდაშ-ვერდი შეეყარა; ჯერ, სალამით შეეგება, მის წინ მუხლი მოიყარა და შეჰკადრა:—ძია ჯონო, დღეს შენ გმონებ, ვფიცავ მეჩუთს; ერთი ბრძანეთ, შენს წინ მონის ხვედრი როგორ მოვიხვეყეთ? მაგალითებო, მაშინ, როცა ჰიტლერს ედგა სისხლის ტანტი, როცა იმან მთელ მსოფლიოს მოუღერა რკინის ლახტი და ჩვენ მასთან ფიცი დაგდეთ, რომ ჩუმჩუმად, ქვე-ქვე ძროხით, ჩვენს ალახსაც ლულა-ქაბაბს შეეწირავდით—თქვენთან ომით, როცა სიტყვით „ნეიტრალიზი“, საქმით ფაშის ხელს ვუწყობდით, და გვეგონა ვერასოდეს თქვენ ამას ვერ შეგვიტყობდით, მაგრამ როცა თქვენ დარწმუნდით, თუ ჩვენ „ვიტარ დავსერებოდით“ რა განაჩენს გვიზადებდით? რა აკეთეთ, რას შერებოდით? —შენი მტერი... მტრად გსახავდით, გულზე შფოთის გავწვა ლოდი, კავშირს ვკრავდით საბჭოეთთან და ხსნას მისგან მოველოდით. —მერე როცა საბჭოეთი სისხლს და ძალას არ ზოგავდა, როცა იგი ფაშისტ ურდოს გაუკაცურად გაუმკლავდა, როცა მისი დარტყმის ძალამ ჰიტლერს სიჭა გააცალა, და გაქცეულს—ბერლინამდე მიჰყვა, აღარ დააცალა, რის დამფრთხალნი, ბომბსაფრებში უკვე აღარ დაძვრებოდით,— ომის დასასრულისათვის რა აკეთეთ, რას შერებოდით? —მერე ფრონტს მაშინ ვხსნიდით, წაქცეულ მტერს ვცემდით მარჯვენ და საბჭოეთს მივძახოდით: —ჩვენც თქვენს გვერდით გაიმარჯვეთ! —მერე როცა ჯამარჯვებამ ომის საფრთხე მოსპო მთელად, როცა ომის დამნაშავეთ აღუმართეთ სახრჩობელა— და ჩვენც, მათი ყარდაშებიც მსჯავრდადებას მოველოდით, განკითხვის დღე მოახლოვდა— გვეგონა და შიშით ვკრთოდით, მაგრამ ვნახეთ, უოლ-სტრიტის აგენტებმა გვინახულეს— და თურქეთის განმგებლებთან კულუარში იჩურჩულეს,— რასა სწყვეტდით ამ თათბირზე, რა აკეთეთ, რას იკვლევდით? —ახალ ომის დასაყრდენებს ვეძებდით და სესსს გაძლევდით! —ახალ ომის? დიან, ვიცი, რომ მაგნატებს და ბირჟელებს, უომოდ და უსისხლისღეროდ, ბედი საქმეს გაუწინებებს, ამიტომაც დოლარები ჩვენში „სესხად“ დარიგეთ, მაგრამ ჩვენის იმედით ხომ დიდს ვერაფერს გარიგებთ? და როდესაც მიხვდით იმას, რომ ამოდ დაშვრებოდით, რა პრაგრამას დაემყარეთ? რა აკეთეთ, რას შერებოდით? —საბჭოეთის დაშინება დაგიწყეთ და არ ვცხრებოდით! —მერე როცა მაგ შანტაჟმა ფონზე ვეღარ გაგიყვანათ, ვერც ატომმა, ვერც მუქარამ, ჭზა ვერსაით გაგიკვალათ, როცა მისტერ ვიშინსკის ხმა ასამბლეის ტრიბუნდან, მთელ მსოფლიოს სმენას მისწვდა, რომ მშვიდობა თქვენ არ გინდათ, რომ დარაზმეთ სიტყვის, კალმის პროვოკატორ-ყაჩაღები და აბოლებთ მოსყიდულებს



— რატომ დანება თავი თეატრს მარკოპულოსმა?
— პოლიციაში გადავიდა. იქ გაცილებით მეტს ლებულობს პარტიზანის როლის შესრულებაში.

ომის საფრთხის გაჩაღებით,— ერთის სიტყვით, ამ მხილებით ეს ცდებიც რომ ჩაგვეშალათ, რა აკეთეთ, რას შერებოდით? რაზე სცადეთ თქვენი ძალა? —საბჭოურიდან გოშიები ჩვენ აუშუშეთ თითო ცალად, და სისინით საბჭოეთზე წავაყვფეთ, წავაკანავეთ: ჯერ ბრაზიან ბრაზილიას, შემდეგ ჩილის დავავალეთ, რომ უშარონ და ერთურთთან ურთერთობა დაარღვიონ, ეგებ ამით საბჭოეთში ცოტა შიში გააღვიონ! —მერე როცა მაგ ფანდიოც ვერ მოიმკეთ სარგებელი, უოლ-სტრიტელ მაგნატებსა ჩაუმწარდათ საკვებელი, როცა მაგგვარ თაღლითობით

საბჭოეთი არ შეშინდა, რა ჭზა გინდათ აირჩიოთ,— მშვიდობა, თუ ომი გინდათ? ჩვენ, პატარა მსახურებსა— ყელში გაჩრილ დოლარებით, რას გვიპირებთ, რა გწადიანთ, რას აკეთებთ, რას გვიშვრებთ? —რას გიშვრებთ?...—აქ ყარდაშ-ვერდს გაუბრაზდა მისტერ-ჯონი,— —რას გიპირებთ? შენ ვინ გკითხავს? დაგიკარგავს თავზედს გონი: სესხით მიტომ შეგისყიდეთ, მიტომ გკვებავთ ლუკმის გდებით, რომ ფინიად მოგინმაროთ, როს საყვფურად დაგვკირდებით. შენ ემზადე ომისათვის: სისხლი შენი—ფული ჩვენი, კიდევ მკითხავ:—რას ვაკეთებო? — „პაქალუსტა“ დამენსენი.



ჩემი ნაჩუქარი ფულით ხომ იცი რაც უნდა იყიდო?
— არა, ძია, ზარბაზნი არ მინდა. მე შოკოლადი მინდა.

მარშალის გემის მიბაძვით
(თარგმანი პიიხაჟი)



— დავიღუბეთ, მასან, წუხელ ჩვენს ფარეზში მგლები შერქიან და ცხვრებისთვის დახმარება აღმოუჩენიათ!

ევროპის ბერს სახელმწიფოში შიმშილი ატყობდა. პურის ისედაც უმნიშვნელო ნიშნად და-
თი-დღე მცირდება. ფრანგი და იტალიელი პურს მარტო ხელაკრიალი იყურებან ოკეანის იქეთ,
ევროპიან დოქარის დემოს, რათა დახმარებოდნენ კომუნისტების გარეგნულ და გილონ მივიდნენ სეს-
ხი ნაციონალური ბრუნვისთვის ფეხზე წამოსდნენ. ევროპის არა დემოკ-
რატიული ნაწილი კვლავ შიმშილობს, ხოლო იგივე პურის ოკეანეში გადაყარა და პარისში
ტრადიციულად.

ლათინური ამერიკის ქვეყნებშიც თავისი წინა უნებათაღებო პურით სახე ბედულ უფულო
ევროპელებისათვის ადგილად არ აღებენ.
არგენტინაში ევროპის პურის მიქცევა უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ
არგენტინიდან ფეხმართული ექსპორტიც უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ
მის საუკეთესო ფეხმართულიც უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ უკლებლივ
პურისათვის გაშვებული ხელები მათთვის გადაცემულმა ევროპის მესვეურებმა სასოწარკვე-
თით ჩაქვიანდნენ არგენტინელთა ამ მოწოდებას. ევროპის უკვე იცის არგენტინელი ფეხმართული.
გადავი და გამოვიყო პურის იმპორტირება არგენტინელ ფეხმართულს რომისა და პარისის
სტაბილურება, მაგრამ ოკეანე და პარისული ფეხმართული მუცლებისათვის ეს ძალიან უიმედო მოწ-
ოდებაა.

ნაცემი საბილევები

ამერიკის კონტინენტზე მამულებით ჩვენს მებოლებში, უოლ-სტრიტელი სიფხურნი მათ
მეზობელი უსაბუნებო მანქანა მანქანა და მანქანა ხელს უშლის, იხუმონ, ერთმანეთი დაიშინონ, ბოლოს
ორივე ბატონიან მივა, ბატონი ჩვენს ორივე ბატონს, ხოლო სპეცენოლ, გასაგონად, ამერიკის
კონტინენტის ხალხთა იდეალურ შეგობრიობასთან სადღერძელს.

ჩვენს ხშირად სულ მცირეზე მასლით ვიგობს. ამახ წინად ბრახილის ფეხმართულიც ეს-
ტუმარს საყვარელი მეზობლის—არგენტინის ფეხმართულს.
ბრახილულ ფეხმართულადაა სასიყვარლო გრანობების გამოხატვის ყველა საშუალება იგი
გამოყენებული: სტენიცი, კვირილიც, ლაქე კვირის სროლა... კვირაფერი ეს ბურთუბული სპო-
რტის ისეთი აუცილებელი თანაზავებია, რომ ჩვენს ამაში უჩვეულოდ არაფერი მომეცნებათ.
მაგრამ მასწავლებელი სტუმარიმთავრობის მიხედვით გამოხატულებას ერთმა უშუბივამ მისცა
ბიჭი: ერთერთი შეჯახების დროს მიმიბედ დაზ არგენტინის გუნდის კაპიტანი.
თითქო ამ წინასწარ დროს, ტრიუმფებზე უკვე წამოიშალენ სტუმრების პატივსაცემად. სთა-
მაში მოიღიან ცემა-ტყეპის არინად გადაიქცეა მათი „მაყურებელი“ გამძვინვარებული ცემა ბრახი-
ლიელ ფეხმართულს და...
როცა ყველაფერი გათავდა, სტუმრებიც სტუმარი უკმაყოფილო არ დარჩენენ, ძველი და
რბილი ყველას ერთი ჰქონდა, არგენტინული სპორტიზაციონის შედეგად ბევრმა მთავარმა საშუ-
ღამოდ ხელს აიღო ფეხმართის თამაშზე.

საკონსილი


თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხმართული გუნდის მწვრთნელმა ა. ყორანიამ დათავრია გუ-
ნის საბრძოლო შეზადენლობის დადგენა. ესაა საფეხმართო სეზონის დასასრულს, მაშინ რო-
დისაც თბილისელებს ადგილი უკვე გარკვეულ პირველობის გათამაშების ცხრილში.

ფეხმართის მოყვარულებს იმედო აქვთ, რომ შეზადენლობა კარგად დაისვენებს გაზაფხულა-
მდე, ხოლო გაზაფხულზე კვლავ დაიწყებს შეიშენებებითი ძიება, ყოველ ახალ მატჩში
ახალი მოთამაშის გამოყენება, იმ ვარაუდით, რომ მათგან საფეხმართო სეზონის ბოლოსთვის კვლავ
მოხერხდეს გუნდის ძირითადი შეზადენლობის შექმნა.

ესასეუ ადგილი ხომ მაინც ჩვენი იქნება?
გახსოვთ წლის საკვებობი ჩემიონმა ბასკულში, თბილისის „დინამოს“ წლევანდელ გათამაშე-
ბაში მეორე ადგილი დაიკავა. ამ წარმატებამ უკვე ამბობენ, თბილისელებს ისევ თბილისელი
კოლეგები—თბილისის ოფიცირთა სახლის ბასკულტები დახმარებია.

ამაზე ამბობენ: ძმა მისთვის, ამ დღისთვის
საქრალ-ოქობიტეც ექმს დეკორას—უკლებლივ მატჩების ტრანსლაციის სპეციალისტს. პირო-
ბები: საბჭოთა კავშირის ქალაქებში უზრუნველყოფილი მოგზაურობა(შეიძლება ახლად შერთულ ცო-
ლითაც), სმა-კეპა დიდად შესაბრე (რაც თქმაზე საკუთარ ხარჯზე), ხელფასი—პროფესორების
უმაღლესი განაკვეთით.

სასურველია დეკორი აკმაყოფილებდეს შემოთავაზებულს: თამაშის ცოდნა და სპონსორ-
ნი ხმა, სწრაფი რეაქციის უნარი და „როგორც ხელის“ სისუფილტვის წარმოქმნისდმი ნაწლები
მიღობილობა.



— შეაკეთოს, როგორც კი დაგვირგვინდება, ჩვენს დედალებს ფანჯრე მივიხიზოთ!

გულელები სტუმარი და გამწეული მასპინძელი

ამერიკის „დახმარების“ შემდეგ, ორი თვის განმავლობაში, საბრძანო
ბაზარზე რეაგირ გადიდა ბრინჯის დასი.



— რაც ამ სტუმარმა ძღვენი გააღიდა, ჩვენში ფლავის საქმე ძალიან ჩაფლავდა,
ჩემი კიარკო!

(მიხალკოვიდან გადმოკეთებული)

კურდღელი და კუ

ერთხელ კურდღელი სადღაც ხნულებთან იწვა; სნეული ციებ-ციხელებით, სიცხიან ფეხებს აფხაკურებდა და ნორჩ ბალახებს გლეჯდა ხელებით. იწვა ცანცალა, შველას ითხოვდა, მაგრამ პატრონი საწყალს ვინ ახლდა და რომ საშველზე აღარც ფიქრობდა, უცებ ბუჩქებში კუ დაინახა.

— ჰეი, ძმობილო, ზურგს ნუ მიჩვენებ, ჰხედავ? დავეცი, საქმე იკვზება, თუ ღმერთი გწამდეს, წყალი, მიშველე, აგე, მდინარეც ორ ნაბიჯზეა. არ ეკუთვნოდა სნეულს უარი, კუსაც არ ერგო მძიმე უღელი... გადის საათი, გადის მეორე, დასაღამოვდა, უცდის კურდღელი. — ვაი, რა საქმე ვის დავავალე. — იწყოს სნეულმა ლანძღვა-გინება:



— ჯოჯოვ, სადა ხარ, ქვეწარმავლო, მოგვედი, წაპერთო კაცს მოთმინება; — რას იგინები. — კუმ არ აცალა... ცქვიტა კურდღელმა უცებ ყურები: — მოხველ, დაბრუნდი? — არა, ცანცალავ, ჯერ კიდევ რქეთ მივეშურები.

ბევრი კუ ჩვენშიც, გაგებარება, მრავალ ბუჩქშია, მრავალ ხერხელშია და როცა ვითხოვთ სწრაფ დახმარებას ხშირად ეს საქმე იმათ ხელშია.

დათვის ალექსა

დათვი ფუტკრებმა ისე დაკბინეს ბებერ ბუჩქებში, შავრის ჭალაზე, რომ წმინდა ალექსა ცად აღავლინა: — ხელი აეღო თაფლის ქამაზე. ეს უცხო ცნობა ტკბილ-სანუკვარი ელვის სისწრაფით მიმდგრებს მოედო, სკასთან შემოკრბა მუშა-ფუტკარი:

— ხალხნო, გადავრჩით, შველა ვპოვეთო. ღმერთმა დალოცოს დათვის ჯიშით. თუ არ გვექნება მათი შიშით, მადლობის ტექსტი მყის დაადგინეს, ორი დესპანი დათვთან აფრინეს:



„რადგან არ გვერჩი, მოდი გვნახევი, ჩვენი თხოვნაა უმდაბლესიო, როგორ ხარობენ ჩვენი სახლები, და ჩვენი თაფლი უთაფლესიო“. დესპანებს თათი მოუთათუნა, ნახვის დასტური უთხრა დათუნამ. წინ შეეგებნენ სტუმარს ფუტკრები, სცეს ბუკ-ნაღარას განსაკუთრებით, ტყეში უჩვენეს ფუძე ხნიერი, სახლები უკვე სვებედნიერი, მაგრამ როს მოხსნეს კარებს დარაჯი და როს იხილა დათვმა სარაქი, უცებ გათელა აღთქმის საზღვარი და როგორც იყო მისი აღათი ორით კი არა, თითქო რვა თათით, სკაში შეცურდა გაუმადლარი. მანამდე იღვა პირდაბრჩენილი და თაფლს იღებდა ყველა თითებით, სანამდე წვეთიც იქ დარჩენილი არ გამოლოკა დაბეჯითებით.

ძალა რომ მქონდეს—დაუზარებლად კანონ-წესს ამგვარს დავამყარებდი: მე დათვის ჯილაგს გაუსწორებელს თაფლთან არასდროს გავაკარებდი.

სპიღო—მხატვარი

მთის პეიზაჟი სპილომ დაჰხატა და მუშტრის თვალი ვიდრე ნახავდა, უხმო მეგობრებს—ნახეთ სურათი,

ასი დღე დამე ოფლს ვიწურავდი, ეს არის მოგრჩი, ჯერაც თბილია, სთქვით გონჯია თუ სრულყოფილია? თემას თუ ჩავწვდი, ფერს თუ მივაგენ?.. მხეცთაც ვანქიქეს შრომა სპილოსი,

— მანკიერია, — ამბობს ნიანგი, — რატომ სურათზე არ ჩანს ნილოსი? — ეგ არაფერი, — ამბობს თხუნელა, — მაგრამ, რათ შესცდა ხორთუმოსანი, რად არ დაჰხატა მთაზე ბოსტანი! ზთებს ხატვა უნდა უფრო მზრუნველად.

— მე უკაცრავად, — ვეფხვი აღელდა, — მე ამ სურათმა ვერ გამახარა, ზედ რომ ეხატოს, რატომ არ ღირდა, ერთი უდაბნო, ერთი სახარა? — ღრუტ-ღრუტ, კამათი, ვფიქრობ, არცა ღირს,



მე ყველა ღორის ვამბობ თვალსაზრისს: მთა რომ დაჰხატო თუნდაც ხომლისა, რკო უნდა ჩანდეს პირველყოფლისა. სპილო თვითონაც იყო ცხოველი, მიიღო მათი აზრი ყოველი; დაჯდა ხელახლა ხორთუმოსანი დინჯად დახატა მთაზე ბოსტანი, აქეთ ნილოსი, იქით სახარა, აქეთ რკო მუხის ქვემოთ დაჰყარა, ხატა ზამთრიდან შემოდგომამდე „არეინ მიხსენოს ფუნჯი ავადო“ (თაფლიც დახატა, ვნახოთ, მომადგეს დათვი, სურათის სანახავადო). შემოდგომიდან გადის ზამთარი, სპილოს სურათიც ბოლოს მზად არი. ისევ მოიხმო სპილომ მხეცები, მაგრამ მხეცებმა თვალდაცეცებით ერთად იყვირეს, ერთად უსტვინეს.

შენც, მეგობარო, რჩევებს უსმინე, მაგრამ გასინჯე გაათქვებით.



მე და ჩემი მეგობრები ჰადრაკს ყოველ-თვის განუსაზღვრელი დროით ვთამაშობდით, ამიტომ ცეიტნოტის მნიშვნელობა კარგად არ მქონდა შეგნებული.

ბედმა მარჯუნა ცეიტნოტის სისასტიკე მეც განმეცადა.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მე ცეიტნოტში არ მოვხვდებოდი, ჩვენი დახურული მაღაზიის გამგეს კარგად რომ ემუშავა.

საქმე ის არის, რომ მე ცეიტნოტში ჰადრაკის დაფაზე კი არა — დახურულ განმანაწილებელში მოვხვდი...

იმ სამახსოვრო დღეს სამსახურიდან პირდაპირ მაღაზიაში გავეშურე. თვის ბოლო დღე იყო. მოგეხსენებათ, რამდენი წვრილმანი საქმე ჩნდება ამ დღეს... მთელი თვის შედეგები ერთბაშად ატყდება კაცს თავზე.

მაღაზიაში ტევა აღარ იყო. კედელზე გაკრული განცხადება გვაუწყებდა: „დღეს დასაქმონების უკანასკნელი დღეა!“

ტანში ვამაჟრკოლა...

— ბატონო პორფირი, თქვენ დასაქმონებული ბრძანდებით თუ არა? — შემეკითხა კარგად ჩასუქებული მაღაზიის გამგე, რომელიც ერთერთი უკვე „დასაქმონებული“ და ამის გამო, კმაყოფილი სახის მომხმარებლის მიერ შეთავაზებულ ბისკვიტს ახრამუნებდა.

— არა, ნაწილობრივ.. აი, მაგალითად, ხორცი ამ თვეში თითქმის არ მოგიტანიათ!

— ერთი სიტყვით, დღეს უკანასკნელი ვადაა. ყოველნაირად უნდა დასაქმონდეთ, თორემ დაჰკარგავთ!

რიგი დავიჭირე, საათს შევხედე და შინისკენ მოვკურცხლე. ექვსს თხუთმეტი წამი აკლდა. მაღაზია შვიდზე იკეტება. კარგა შორს ვცხოვრობ, ვერ მოვასწრებ თუ არ ვიჩქარე. ტრამვაის გაჩერებასთან მივიჭერი. ხალხი ბობოქრობს. ტალღამ ჩემდაუნებურად ვილაც ახოვანი მოქალაქის მხრებზე შემაგდო. საუბედუროდ უცნობი ვაჟკაცი იმდენად ღონიერი არ აღმოჩნდა, რომ მეც ავეტანე ტრამვაიში და ჩემთან ერთად დარჩა გაჩერებაზე.

შინ შეიღის თხუთმეტი წამზე ვიყავი.

ცოლი კიბეებზე შემეფეთა. ალბათ იმდენად შეშფოთებული სახე მქონდა, რომ მან განცვიფრებით უკან დაიხია.

— რა დავგმართა, კაცო, რას გავხარ?... — ლაპარაკის დრო არ არის... — სხარტად მოვუჭერი მე. — დღეს უკანასკნელი ვადაა, დავსაქმონდეთ თუ არა?..

მისი განცვიფრება შიშმა შეცვალა.

— რას ამბობ, რას?... არაფერი მესმის!..

— ცეიტ... ცეიტნოტში ვარ... მოკლედ მიპასუხე...

უნიბურად წამომცდა ეს მართლაც საბედისწერო სიტყვა.

ცოლმა კვლავ შიშით შემომხედა. ის საბოლოოდ დარწმუნდებოდა ჩემს სიგიჟეში, შვიდი წამი რომ არ შემეწირა მისი დამშვიდებისათვის.

— მაშ აბა ჩქარა ჩანთები, პარკები, — მივაძახე უკვე დამშვიდებულს.

— ოღონდ დავსაქმონდეთ და...

— მაშ ყველაფერი ავიღო?..

— ყველაფერი, ჩემო კარგო, რად უნდა დავკარგოთ!

— ხორციც?..

— რასაკვირველია, ხორციც!..

„რად უნდა ამდენი ხორცი, სად წაიღებს?“ ვფიქრობდი გზაში და თან თავს ეანუგებებდი, ჭკვიანი, გამოცდილი ქალია, გამოიყენებს, ან ჩააყაურებს, ან...



— ჩვენი ღირეპტორი გაფაციცებით ემზადება ზამთრისათვის.
— მინები იშოვა ფანჯრებში ჩასასმელად?
— არა, მეოთხე პალტოს იკერავს...

შვიდს ოცი აკლდა, მაღაზიას რომ მივაღწიე.

— ყველაფერს წაიღებთ? — შემომესმა ნოქრის ხმა.

— დიახ, ყველაფერს.

— ხორცსაც?..

— დიახ, ხორცსაც!..

— სულ მთლიანად? — გაკვირვებით შემომხედა ნოქარი.

— დიახ, დიახ...

— ბატონო, ძალიან, ძალიან ბევრია... თითქმის თვენახევრის ხორცი გერგებათ! — მითხრა ნოქარი და ჩანგლიდან ნახევარი ძროხა გაკირვებით ჩამოიღო.

„ჰი, ჰი, ჰი... ბევრი, ბევრი... იქნებ გინდა შენ დაგიტოვო“... ჩავიქირქილე გუნებაში და თავაზიანად ვუპასუხე:

— დიდი ოჯახი მაქვს, გამოვიყენებთ... ხელში ჩანთებით, მხარზე ნახევარი ძროხით, მივიღებ, მივბარბაცებ შინისაკენ.

ესლა ცეიტნოტისა აღარ მეშინიან. პარტია მოგებული მაქვს. ოფლში ვიწურები, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, მართლაც დასაქმონებული მივდივარ.

სახლს მივალწიე. ეზოდან ცოლი გამოიქრა. რა კეთილი ქალია! ალბათ უნდა მომეშველოს, მომხმაროს დადლილ-დამაშვრალს. მაგრამ ეს რა ესმის ყურს, რას ქაქანებს ეს ქალი?

— შე ძროხის თავო, შე... შე... მართლაც გაგიჟებულხარ, ეს რა არის, რათ გინდოდა ეს შენსავით ჯანდაგი ძროხის ფეშხვა რომ ავითრევი?

— შენ არ მითხარი ყველაფერი წამოიღეო!

გვენესი სუსტი ხმით, ტვირთს მხრიდან ვიწორებ და დამნაშავესავით ვწმევი სკამზე.

— გითხარი, მაგრამ მეგონა კარგი იქნებოდა.

— კი მაგრამ არჩევის დრო ხომ არ არის — დასაქმონების დროა.

— მართლაც დაუსაქმონებინარ იმ შენს გამგესა, — მწარედ მესროლა ცოლმა.

მითხარით, განსაჯეთ და ისე მითხარით: მე ვარ დამნაშავე, ჩემი ცოლი, მაღაზიის გამგე თუ ცეიტნოტი, რომელშიც მე მოვხვდი?! ამისხენით, ვთხოვთ...

— კი მაგრამ არჩევის დრო ხომ არ არის — დასაქმონების დროა.

— მართლაც დაუსაქმონებინარ იმ შენს გამგესა, — მწარედ მესროლა ცოლმა.

მითხარით, განსაჯეთ და ისე მითხარით: მე ვარ დამნაშავე, ჩემი ცოლი, მაღაზიის გამგე თუ ცეიტნოტი, რომელშიც მე მოვხვდი?! ამისხენით, ვთხოვთ...

— კი მაგრამ არჩევის დრო ხომ არ არის — დასაქმონების დროა.

— მართლაც დაუსაქმონებინარ იმ შენს გამგესა, — მწარედ მესროლა ცოლმა.

მითხარით, განსაჯეთ და ისე მითხარით: მე ვარ დამნაშავე, ჩემი ცოლი, მაღაზიის გამგე თუ ცეიტნოტი, რომელშიც მე მოვხვდი?! ამისხენით, ვთხოვთ...

გოგიბიდა



„სათნო ქია“ — მოუფლდებს მშვიდობიანობისაქანს.

სარედაქციო კოლეგია: ი. გრიგუშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ბელოვ. დასაბ. 1947 წ. 31/ხ. № 2. შერის სხ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, გაზეთ. № 101 ზეგ. № 1697. ც.ბ. 1500 წგ